სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

24716202169313

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130662774

რეგისტრაციის თარიღი

02.07.2013 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ძლიერიშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 6
ტელეფონი: 2380435

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ცამეტი წლის ორ ივლისს მე, ნოტარიუსს **ქეთევან ძლიერიშვილს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე:ქართველო, ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №6, მომმართა: **ვასილიოს ღაბიოსმა.** მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა **ლევან ჯანხოთელის** სახელზე და გამოხატა ნება შეადგინოს მინდობილობა და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით. მე შევამოწმე **ვასილიოს ღაბიოსის.** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ვასილიოს ღაბიოსმა** (დაბადებული 08.10.1969წ. აშშ, აშშ-ს მოქალაქის პასპორტი 711734150 გაც. 24.03.2006წ. ძალაშია 23.03.2016წ. გამცემი ორგანო შეერთებული შტატების შტატის დეპარტამენტის მიერ მისი განცხადებით მცხოვრები ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. №19) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელის ტექსტიც მოიწონა **ვასილიოს ღაბიოსმა** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ცამეტი წლის ორ ივლისს მე, ვასილიოს ღაბიოს (პასპორტი 711734150), ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **ლევან ჯანხოთელს** (დაბადებული 25.12.1978წ. თბილისი, პ/მ №დ 1338555, პირადი № 01012004065 გაც 03.11.2009წ სრს სამგორის სამს. მიერ. მცხოვრები თბილისი ვარკეთილის მას. IV მ/რ, II რიგი, კორპ. 1, ბინა 9) იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობაში, მათ შორის ქ. თბილისის მერიაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში და არქიტექტურის სამსახურშ, რათა ჩემი სახელით აწარმოოს საქმეები ფასადის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, გამოითხოვოს, წარადგინოს და მიიღოს ინფორმაცია, დოკუმენტაცია და საჭირო ცნობები, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, შეათანხმოს ფასადის პროექტი და მოახდინოს პროექტის კორექტირება, გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნულთან.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია 2013 წლის 02 ოქტომბრამდე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ ერთი (1) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია ცამეტი (13) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი.

ვასილიოს ღაბიოს ----------

ნოტარიუსი: ქეთევან ძლიერიშვილი